პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის
სამინისტროსა და პროფკავშირთა საქართველოს
რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Министерства здравоохранения ГССР
и Грузинского Республиканского Совета
профсоюзов

გამოცემის მე-10 წელი

№ 81 (788) | კვირა, 18 აპრილი, 1954 წ. | ფასი 30 კაპ.

ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების ღირსეული საქმე

Სახელოვანი კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სისტემატურად ზრუნავენ ჩვენი ხალხის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის ამაღლებისათვის. მამობრივ ზრუნვას გმირი საბჭოთა ხალხი ფაბრიკა-ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებში მამაცური შრომით უპასუხებს. ცენტრალური კომიტეტის ბრძნულ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებამ უზრუნველყო ჩვენი სოციალისტური ქვეყნის სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობა. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულეს მეცნიერების მიღწევებმა, მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდამ და პრაქტიკაში მათმა დანერგვამ.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის მიღწევების ფართო პროპაგანდისათვის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევით და საცდელ დაწესებულებათა მიღწევების რაც შეიძლება მალე დანერგვისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინეს: 1. გაიხსნას მუდმივმოქმედი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა ქალაქ მოსკოვში 1954 წლის 1 აგვისტოს.

საბჭოთა მთავრობამ და კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განსაზღვრეს სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა შერჩევის წესი, დაამტკიცეს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარი კომიტეტის დადგენილება 1954 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა შესარჩევად მაჩვენებლებისა და პირობების შესახებ. გამოფენის მონაწილეთა წასახალისებლად, რომლებმაც საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს მუშაობაში, დაწესებულია ჯილდოები და პრემიები, რასაც ყოველწლიურად მიანიჭებს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარი კომიტეტი.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნა ღირსშესანიშნავი მოვლენაა სოციალისტური ქვეყნის ცხოვრებაში. გამოფენა იხსნება იმ დროს, როცა მთელი საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ახორციელებს სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის პროგრამას, რომელიც მოცემულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების გადაწყვეტილებებში. გამოფენა ნათლად ასახავს საკოლმეურნეო წყობილების ძალასა და ძლიერებას, სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ განვითარებას.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მოეწყობა სპეციალური პავილიონი — „ფიზკულტურა და სპორტი“, რომლის მიზანია სოფლად ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მოწინავეთა ჩვენება. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა დაამტკიცა გამოფენაში მონაწილეობის პირობები, აგრეთვე გამოფენის მონაწილეთა შერჩევის წესი. ამ შესანიშნავ ღონისძიებაში მონაწილეობის უფლება ენიჭება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, ცხენსაშენების ფიზკულტურულ კოლექტივებს, რომელთა მეურნეობა ითვლება გამოფენის მონაწილედ, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, სოფლის მეურნეობისა და საკოლმეურნეო კადრების მექანიზატორთა სკოლების, სოფლის სკოლების ფიზკულტურულ კოლექტივებს. გამოფენაში მონაწილეობის უფლება აქვთ აგრეთვე სპორტულ საზოგადოება „კოლმეურნის“ რაიონულ, საქალაქო და რესპუბლიკურ ორგანიზაციებს, აგრეთვე „უროჟაის“, სოფლის საუკეთესო სპორტსმენებს და ფიზკულტურულ ორგანიზატორებს.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის მზადების დღეები უნდა გამოვიყენოთ სოფლად მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის უფრო გაშლისათვის, საკოლმეურნეო სპორტული საზოგადოების და საზოგადოება „უროჟაის“ კოლექტივებში სოფლის მუშაკთა ფართოდ ჩაბმისათვის, სოფლის სპორტსმენთა შემდგომი დაოსტატებისათვის.

დასამალი არაა, რომ ჩვენი რესპუბლიკის ბევრი რაიონის ხელმძღვანელობა ჯეროვნად ვერ აფასებს სოფლად მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის მნიშვნელობას. ადიგენის, მაიაკოვსკის, ახალქალაქის, ასპინძისა და სხვა რაიონების ბევრ ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივში ჩაშლილია ფიზკულტურული საქმიანობა. ნაკლები ყურადღება ექცევა სპორტული სექციების მუშაობას, სპორტული ბაზების მშენებლობასა და არსებულის კეთილმოწყობას.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობა სასახელო საქმეა. ამ უფლების მოპოვება შეიძლება საკოლმეურნეო მინდვრებში გმირული შრომის, ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის აღმავლობაზე ყოველდღიური ზრუნვის შედეგად. სოფლის ფიზკულტურელები, ჩვენი სამშობლოს პატრიოტები, საბჭოთა ხალხთან ერთად ახალ წარმატებებს მიაღწევენ შრომასა და სპორტში, აქტიურად იბრძოლებენ ჩვენი დიადი სამშობლოს ეკონომიური ძლიერების განმტკიცებისათვის.

☆

საერთაშორისო შეხვედრები ფარიკაობაში

ბუდაპეშტში დაიწყო საბჭოთა არმიის მიერ უნგრეთის განთავისუფლების 9 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო შეჯიბრება ფარიკაობაში. მონაწილეობენ უნგრეთის, სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, საფრანგეთის, იტალიის, ბელგიისა და სხვათა მოფარიკავენი.

პირველ დღეს ჩატარდა შეჯიბრება რაპირაში ვაჟებს შორის. მონაწილეობდა 42 სპორტსმენი. გაიმარჯვა ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა იტალიელმა ე. მინჯიროტმა. მან ფინალში ყველა რვა შეხვედრა მოიგო. მეორე-მესამე ადგილები დაიკავეს უნგრელმა სპორტსმენებმა ტილლიმ და დიუროტამ. საბჭოთა სპორტსმენი ურალოვი მეხუთე ადგილზე გავიდა.

ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ მოგესალმებათ თქვენი სამოცი წლისთავის დღეს თქვენ, ლენინის ერთგულ მოწაფეს და სტალინის თანამებრძოლს, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს, მუშათა კლასის სახელოვან შვილს.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხალხი დიდად აფასებენ თქვენს დამსახურებას კომუნიზმის საქმისათვის ბრძოლაში, რასაც თქვენ ახმართ მთელ თქვენს სიცოცხლეს.

სამოქალაქო ომის სუსხიან დროს, მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის პირობებში, დიდი სამამულო ომის მძიმე წლებში და ახლა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლის მშვიდობიან პერიოდში — პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეობის ყველა პოსტზე ჩვეული, დაუღალავი ენერგიით, სიმტკიცით და პრინციპულობით ახმართ მთელ ძალღონეს საბჭოთა ხალხის დიად გამარჯვებათა მოპოვებას, მისი კეთილდღეობის ამაღლებას, კომუნიზმის აშენებას.

სულითა და გულით გისურვებთ თქვენ, ჩვენო მეგობარო და ამხანაგო, ჩვენო ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ, ჯანმრთელობას და მრავალ წელს შემდგომ ნაყოფიერ მოღვაწეობას საბჭოთა ხალხისა და ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ, კომუნიზმის საკეთილდღეოდ.

**საბჭოთა კავშირის
კომუნისტური პარტიის
ცენტრალური კომიტეტი.**

**სსრ კავშირის
მინისტრთა
საბჭო.**

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინაშე თვალსაჩინო დამსახურების აღსანიშნავად მიენიჭოს ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე **ხრუშჩოვს** სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეს მას ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **კ. ვოროშილოვი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ნ. პეგოვი.**

მოსკოვი, კრემლი. 1954 წლის 16 აპრილი.

მ. ბოტვინიკ — ვ. სმისლოვის მატჩი

მატჩის პირველ ნახევარში პარტიები დაიწყო რვა სხვადასხვა დებიუტით. თეორიულ სადებიუტო ბრძოლაში დიდი გამოცდა ჰქონდა ფრანგულ დაცვას. სმისლოვმა ნაწილობრივ დაამტკიცა, რომ ამ დებიუტით შავები მძიმე პოზიციას იღებენ.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ბოტვინიკმა შავებით ჯერ კიდევ ვერ მონახა კარგი დაცვა მეფის პაიკის სვლაზე, ხოლო სმისლოვმა თეთრი ლაზიერის პაიკის სვლის საწინააღმდეგოდ.

მეცამეტე პარტიით დაიწყო მატჩის მეორე ნახევარი. მსოფლიო ჩემპიონმა შავებით პირველად გამოიყენა სიცილიური დაცვა. უკვე მეხუთე სვლაზე მან გადაუხვია ნატკეპნ გზას და თამაშს ახალი მიმართულება მისცა. მეცხრე სვლაზე სმისლოვმა გაბედულად შესწირა პაიკი და შეუტია ცენტრში დარჩენილ ბოტვინიკის მეფეს. მდგომარეობა დაფაზე ძალზე გამწვავდა. სმისლოვი პოზიციის ფორსირებას ჩქარობდა და ნაადრევად გაცვალა ლაზიერები. თამაში ენდშპილში გადავიდა. ბოტვინიკმა შეინარჩუნა ზედმეტი პაიკი და ჩინებული პოზიციური ბრძოლით პარტია მოგებულ პოზიციამდე მიიყვანა. ამ დღეს პარტია გადაიდო, მაგრამ მეორე დღეს დილით სმისლოვმა ტელეფონით დაურეკა მატჩის არბიტრს კ. ოპოჩენსკის, რომ იგი პარტიას თმობს.

15 აპრილს სმისლოვმა ძველინდური დაცვა გამოიყენა ეს დებიუტი მატჩში პირველად თამაშდება. პირველი სვლებიდანვე რთული თამაში გაიმართა. სმისლოვმა შუა თამაშში სამ ფიგურაში ლაზიერი გაცვალა და ფიგურების შეთანხმებული მოქმედებით თავს დაესხა თეთრების მეფეს. მალე ბოტვინიკი უიმედო პოზიციის წინაშე აღმოჩნდა. 34-ე სვლაზე ბოტვინიკმა ხელი გაუწოდა სმისლოვს და გამარჯვება მიულოცა.

თოთხმეტი შეხვედრის შემდეგ ანგარიშია 7:7.

ეგვიპტეში

საბჭოთა კავშირის ელჩმა ეგვიპტეში დ. სოლოდმა საბჭოთა ძალოსნების დელეგაციის ეგვიპტეში ყოფნასთან დაკავშირებით მოაწყო მიღება. სტუმრებს შორის იყვნენ ეგვიპტის მთავრობის წარმომადგენლები, დიპლომატიური კორპუსის წევრები, ეგვიპტის საზოგადოებრივი და სპორტული კლუბის წარმომადგენლები. საბჭოთა და ეგვიპტის სპორტსმენებმა ერთმანეთს გადასცეს საჩუქრები.

საბჭოთა სპორტსმენების გამოსვლებმა ეგვიპტეში დიდი ინტერესი გამოიწვია არა მარტო სპორტულ წრეებში, არამედ მოსახლეობის ფართო ფენებშიც

ეგვიპტის გაზეთები თავიანთ ფურცლებზე დიდ ადგილს უთმობდნენ საბჭოთა სპორტსმენების გამოსვლებს და აღნიშნავდნენ, რომ საბჭოთა ძალოსნები უძლიერესნი არიან მსოფლიოში.

13 აპრილს საბჭოთა ძალოსნების დელეგაცია კაიროდან ბეირუთში გაფრინდა. აქ ისინი შეხვდებიან ლიბანის უძლიერეს ძალოსნებს.

საბჭოთა სპორტსმენების გამგზავრება საზღვარგარეთ

საბჭოთა კავშირის ქალ და ვაჟ ფრენბურთელთა ნაკრებმა გუნდებმა რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა ჩაატარეს მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სპორტსმენებთან. ყველა შეხვედრა ნაკრებმა გამარჯვებით დამთავრდა. 13 აპრილს ჩვენი ქვეყნის ქალ და ვაჟ ფრენბურთელთა ნაკრები გუნდები ბულგარეთის სპორტული ორგანიზაციების მოწვევით კიშინიოვიდან სოფიაში გაემგზავრნენ. დელეგაციას ხელმძღვანელობს ვ. სავინი.

საბჭოთა ფრენბურთელები ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სპორტსმენებთან ჩაატარებენ რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას.

მოსკოვიდან დასავლეთ გერმანიაში გაემგზავრა სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. მურატოვი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო შეხვედრებში. ამ შეხვედრებში, მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე ევროპის ქვეყნების თითო ტანმოვარჯიშე.

მოწინავეთა დაჯილდოება

„ბურევესტნიკის“ ცენტრალურმა საბჭომ შეაჯამა ნიშნოსნებისა და სპორტსმენ თანრიგოსანთა მომზადების გეგმის შესრულების მიმდინარეობა და აღნიშნა, რომ „ბურევესტნიკის“ ძირეულმა ორგანიზაციებმა 52 ათასი ნიშნოსანი და 20 ათასი თანრიგოსანი მოამზადეს. განსაკუთრებული წარმატების მოპოვებისათვის ცენტრალურმა საბჭომ დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა რესპუბლიკის, სამხარეო და საოლქო საბჭოები. დაჯილდოებულთა შორის არიან: ლენინგრადის, როსტოვის, აზერბაიჯანის, საქართველოსა და სხვ. საბჭოები. სულ დაჯილდოებულია რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო 13 საბჭო.

რ. ჩიმიშკიანი

★

ეგვიპტის ქალაქ ალექსანდრიაში სსრ კავშირის გუნდის წარმომადგენელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა რ. ჩიმიშკიანმა დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი კლასიკურ სამჭიდში ქვემსუბუქი წონის ძალოსანთათვის.

ხარკოვში, „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე სპორტის ოსტატმა ხ. ხანუკაშვილმა ორი ხელით აწია 107 კგ და 200 გრამი, რაც ახალი მსოფლიო რეკორდია ქვემსუბუქი წონის ძალოსნებისათვის.

★

ხ. ხანუკაშვილი

დებულება

1954 წლის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის პავილიონში «ფიზკულტურა და სპორტი» ფიზკულტურული ორგანიზაციებისა და სოფლად ფიზკულტურული მუშაობის მოწინავეთა მონაწილეობისა და 1953 წლის მაჩვენებლების შესახებ

I. გამოფენის მონაწილენი

1954 წელს საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის ჩვენების მონაწილეებად შეიძლება იყვნენ:

ა) კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, ცხენსაშენებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებათა ფიზკულტურული კოლექტივები, რომელთა მეურნეობა გამოფენის მონაწილეა თავისი საწარმოო მაჩვენებლებით, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების, უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმების, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სკოლების, საკოლმეურნეო კადრების მომზადების სკოლების, მექანიზაციის სასწავლებლების, აგრეთვე სოფლის კლუბების, ქოხ-სამკითხველოებისა და რაიონულ კულტურის სახლთა ფიზკულტურული კოლექტივები.

ბ) სოფლის სკოლები (საშუალო და რვაწლიანი).

გ) ზემოაღნიშნული ორგანიზაციების ფიზკულტურული კოლექტივების საბჭოს თავმჯდომარეები, წევრები, აქტივისტები, ფიზორგები, მასწავლებლები, საზოგადოებრივი ინსტრუქტორები და სექციათა თავმჯდომარეები.

დ) სოფლის მოწინავე სპორტსმენები, სპორტის დამსახურებული ოსტატები და სპორტის ოსტატები.

ე) სასოფლო რაიონები, საკოლმეურნეო სპორტულ საზოგადოებათა რაიონული ორგანიზაციები და მათი მუშაკები, რომლებმაც მიაღწიეს სოფლის მოსახლეობას შორის მასობრივი ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის საუკეთესოდ დაყენებას.

ვ) ოლქები, მხარეები, რესპუბლიკები, საკოლმეურნეო სპორტულ საზოგადოებათა და სპორტული საზოგადოება „უროჟაის" საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკური ორგანიზაციები და მათი მუშაკები, რომლებმაც მიაღწიეს სოფლის მოსახლეობას შორის ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის საუკეთესოდ დაყენებას.

ზ) საქალაქო, საოლქო და სამხარეო ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტები, სპორტული საზოგადოებების საბჭოები, დაწესებულებათა, საწარმოთა და ქალაქების სასწავლებლები და მათი მუშაკები, რომლებიც დახმარებას უწევენ სასოფლო ფიზკულტურულ კოლექტივებს ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის განვითარებასა და მაჩვენებლების შესრულებაში.

II. საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეთა შერჩევისათვის ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის მაჩვენებლები

დაწესდეს 1953 წლის შემდეგი მაჩვენებლები, რომლებიც ანიჭებს საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე 1954 წელს ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის ჩვენების უფლებას.

1. ფიზკულტურული კოლექტივებისა და სოფლის სკოლებისათვის

დაერთოს მონაწილეობის უფლება ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის ჩვენებაში იმ ფიზკულტურულ კოლექტივებსა და სოფლის სკოლებს, რომლებმაც 1953 წ. მიაღწიეს:

ა) ფიზკულტურული კოლექტივის ყველა ფიზკულტურელის აქტიური მონაწილეობა კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებების საწარმოო ცხოვრებაში. ზოგადი განათლების სკოლებს, საშუალო და უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების, მექანიზაციის სკოლების, სასწავლებლებისა და საკოლმეურნეო კადრების სკოლების მოსწავლეთა მაღალ წარმატებას.

ბ) კოლექტივში მასობრივი სპორტული შეჯიბრებების რეგულარულ ჩატარებას და მონაწილეობას რაიონულ (საქალაქო — უმაღლესი სასწავლებლებისათვის და ტექნიკუმებისათვის) შეჯიბრებებში და პირველი ადგილის მოპოვებას რაიონში მძლეოსნობაში, ცურვაში, თხილამურებში, ტანვარჯიშში, სიმძიმეების აწევაში, ჭიდაობაში, მოტო და ველოსპორტში, ფეხბურთში, რიკაობაში, ფრენბურთში, კალათბურთში, ცხენბურთსა და სროლაში, ჭადრაკსა და შაშში.

გ) სპორტულ ნაგებობათა მოწყობას სპორტული სექციების მეცადინეობების და შეჯიბრებათა ჩატარებისათვის. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ფიზკულტურული კოლექტივებისათვის — სპორტული მოედნებას, სათხილამურო ბაზის (თოვლიან რაიონებისათვის), აუზის (მეურნეობებისათვის, რომლებიც მდებარეობენ ბუნებრივ წყალსაცავებთან, მდინარეებთან, ტბებთან) მოწყობას.

დ) საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადების გეგმების გადაჭარბებას.

ე) კოლექტივში წევრთა მასობრივ ჩაბმას და ფიზკულტურაში რეგულარულ მეცადინეობას.

კოლმეურნეობებისათვის შრომის უნარიანი წევრების რიცხვიდან არა ნაკლებ 15 პროცენტისა, იმ პირობით, თუ კოლმეურნეობა ირიცხება სასოფლო სპორტულ საზოგადოების წევრად და შესრულებული აქვს იურიდიული წევრის ვალდებულება;

საბჭოთა მეურნეობისა და მტს-ებისათვის — მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობის არა ნაკლები 30 პროცენტისა; სხვა სასოფლო-სამეურნეო წარმოება-დაწესებულებებისათვის — მუშა-მოსამსახურეების საერთო რაოდენობის არა ნაკლები 15 პროცენტისა; რვაწლიანი სასოფლო სკოლებისათვის — მე-5-8 კლასების ჩათვლით, არა ნაკლები 50 პროცენტისა.

სოფლის საშუალო სკოლებისათვის — მოსწავლეთა მე-3-11 კლასების ჩათვლით, არა ნაკლებ 70 პროცენტისა.

საშუალო და უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებისათვის მოსწავლეების რიცხვის არა ნაკლები 70 პროცენტისა.

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სკოლებისა და სასწავლებლებისათვის და საკოლმეურნეო კადრების სკოლებისათვის — მოსწავლეთა საერთო რაოდენობის არა ნაკლები 40 პროცენტისა.

ვ) სპორტულ სექციებში, გუნდებსა და საწარმოო ბრიგადებში მეცადინეობების სისტემატურ ჩატარებას. მშთ კომპლექსის ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადების გეგმების გადაჭარბებას არა ნაკლებ:

კოლმეურნეობებისათვის: მშთ I საფეხური—35%; მშთ II საფეხური—5%; თანრიგოსნები—8%—კოლექტივის წევრთა საერთო რაოდენობიდან; საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ებისათვის: მშთ I საფეხური—40%; მშთ II საფეხური — 8%; თანრიგოსნები — 12%.

სხვა სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებებისა და საწარმოთათვის მშთ I საფეხური—40%, მშთ II საფეხური—5%; თანრიგოსნები — 8%.

რვაწლიანი სოფლის სკოლებისათვის იმშთ და მშთ I საფეხური—60% მე-5-8 კლასების მოსწავლეთა რაოდენობიდან და თანრიგოსნები — 10% კოლექტივის წევრთა საერთო რაოდენობიდან.

სოფლის საშუალო სკოლებისათვის იმშთ და მშთ I საფეხური — 70% მე-5-10 კლასების მოსწავლეთა რაოდენობიდან და თანრიგოსნები—20% კოლექტივის წევრთა რაოდენობიდან.

საშუალო და უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებისათვის მშთ I საფეხური—40%; მშთ II საფეხური — 45% და თანრიგოსნები — 25% კოლექტივის წევრთა საერთო რაოდენობიდან.

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სკოლების, სასწავლებლებისა და საკოლმეურნეო კადრების სკოლებისათვის მშთ I საფეხური—40%, მშთ II საფეხური — 5% მოსწავლეთა რაოდენობიდან და თანრიგოსნები — 10% კოლექტივის წევრთა რაოდენობიდან.

2. სოფლის რაიონებისა და კოლმეურნეთა სპორტული საზოგადოებების რაიონული ორგანიზაციებისათვის

დაერთოს მონაწილეობის უფლება ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის ჩვენებაში სოფლის რაიონებსა და საკოლმეურნეო სპორტული საზოგადოებების რაიონულ ორგანიზაციებს, რომლებმაც 1953 წლის განმავლობაში მიაღწიეს:

ა) მშთ ნიშნოსანთა, თანრიგოსანთა და საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადების 1953 წლის გეგმის გადაჭარბებით შესრულებას მთლიანად რაიონში გეგმის ყველა მაჩვენებელში იმ პირობით, რომ გეგმის ყველა მაჩვენებელი ჰქონდეთ შესრულებული სოფლის ფიზკულტურულ კოლექტივებს.

ბ) ყველა კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურში, სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებაში და სასწავლებელში ფიზკულტურული კოლექტივების შექმნას და ფიზიკურ კულტურასა და სპორტში სოფლის მოსახლეობის მასობრივად ჩაბმას.

გ) სოფლის ფიზკულტურულ კოლექტივებში ისეთი მოედნების მოწყობას, სადაც შეიძლება მომზადდეს მშთ ნიშნოსნები და თანრიგოსნები, აგრეთვე რაიონის ცენტრში არსებობდეს კომპლექსური მოედანი, სადაც შეიძლება ჩატარდეს მასობრივი სპორტული შეჯიბრება.

დ) რაიონის მონაწილეობას ყველა საოლქო (სამხარეო ან რესპუბლიკური), სასოფლო სპორტულ შეჯიბრებაში და პირველობის მოპოვებას სპორტის რომელიმე სახეობაში.

ე) სპორტულ ღონისძიებათა კალენდრის შესრულებას, სპორტის წამყვან სახეობებში ჩატარებას მასობრივი შეჯიბრებებისა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს სოფლის ფიზკულტურული კოლექტივების გუნდების 90%.

ვ) ფიზკულტურული კოლექტივებისათვის საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების (საბჭოს თავმჯდომარეთა, ფიზორგების, ინსტრუქტორებისა და მსაჯების) მომზადების გეგმის გადაჭარბებას.

3. ოლქების, მხარეების, რესპუბლიკების, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური საკოლმეურნეო და პროფკავშირული სპორტული საზოგადოებისათვის

დაერთოთ მონაწილეობის უფლება ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობის ჩვენებაში ოლქებს, მხარეებს, რესპუბლიკებს, „კოლმეურნის", „უროჟაისა" და სხვა საზოგადოებათა საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკურ ორგანიზაციებს, რომლებმაც 1953 წელს მიაღწიეს:

ა) მშთ ნიშნოსანთა, თანრიგოსანთა და საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადების 1953 წლის გეგმის გადაჭარბებით შესრულებას ყველა მაჩვენებელში ოლქებს, მხარეებს და რესპუბლიკებს თუ მათ შეასრულეს სოფლად გეგმის ყველა მაჩვენებელი.

ბ) ფიზიკურ კულტურასა და სპორტში სოფლის მოსახლეობის მასობრივად ჩაბმას.

გ) საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ფიზკულტურული კოლექტივებისა და ფიზკულტურისა და სპორტის მოწინავეთა მეტი რაოდენობის მონაწილეობას.

დ) სასოფლო რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მონაწილეობას და პირველი სამი ადგილიდან ერთ-ერთი ადგილის მოპოვებას.

ე) სოფლის ფიზკულტურელთა მეტ რაოდენობას, რომლებმაც 1953 წელში აჩვენეს პირველი თანრიგისა და სპორტის ოსტატის შედეგები.

ვ) ფიზკულტურული კოლექტივებისათვის საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების (საბჭოს თავმჯდომარეთა, ფიზორგების, ინსტრუქტორებისა და მსაჯების) მომზადების გეგმის გადაჭარბებას.

ზ) სოფლის ადგილებში სპორტულ ნაგებობათა მშენებლობის გეგმის შესრულებას.

თ) მასობრივ ღონისძიებათა კალენდარის შესრულებას, შეჯიბრებების ჩატარებას მძლეოსნობაში, ფეხბურთში, სათხილამურო და ველოსპორტში, ფრენბურთში, სიმძიმეების აწევაში, ჭადრაკსა და შაშში. აღნიშნულ შეჯიბრებებში რაიონული, საოლქო, სამხარეო გუნდების 70 პროცენტის მონაწილეობას, „უროჟაის" საოლქო საბჭოებისა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების გუნდების არა ნაკლებ 60 პროცენტის მონაწილეობას.

ი) სოფლის მოსახლეობაში ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებზე სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის უკეთესად დაყენებას, მოხსენებების, ლექციებისა და საუბრების ჩატარებასა და რადიოთი სპორტულ გადაცემებს.

სოფლის ფიზკულტურულ კოლექტივებზე სისტემატურ დახმარებას სასოფლო სპორტული საზოგადოებების და ქალაქის ფიზკულტურული კოლექტივების მიერ. ინსტრუქტორების, მწვრთნელების, ფიზკულტურის მასწავლებლების, საუკეთესო სპორტსმენთა ბრიგადებისა და სპორტის ოსტატების სოფლად მივლინებას საღამოების ჩასატარებლად, სასწავლო სპორტული მუშაობის ორგანიზაციისათვის და საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მოსამზადებლად.

4. ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტებისათვის, სპორტული საზოგადოებებისათვის, დაწესებულებათა, საწარმოთა, სასწავლებლებისა და სხვა ორგანიზაციებისათვის

დაერთოთ მონაწილეობის უფლება ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის ჩვენებაში ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტებს სპორტული საზოგადოებების საქალაქო და საოლქო საბჭოებს, ფიზკულტურულ კოლექტივებს და სხვა ორგანიზაციებს, რომლებმაც მიაღწიეს:

ა) სასოფლო ფიზკულტურული კოლექტივებისადმი სისტემატურ საშეფო მუშაობის მოწყობას, ინსტრუქტორების, ფიზკულტურის მასწავლებლების, მოწინავე სპორტსმენებისა და სპორტის ოსტატების მივლინებებს სასოფლო ფიზკულტურულ კოლექტივებში ფიზკულტურულ აქტივთან საინსტრუქტაჟო მეცადინეობების, მოხსენებების, ლექციების ჩატარებას, ინსტრუქტორებისა და სპორტის ცალკეულ სახეობებში მსაჯების მომზადებას, შეჯიბრებების, საღამოებისა და საჩვენებელი გამოსვლების მოწყობას. სპორტულ ნაგებობათა მშენებლობაში დახმარებას.

ბ) საშეფო კოლექტივების (კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა ტრაქტორთა სადგურების) მიერ საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე „ფიზკულტურისა და სპორტის" პავილიონში მონაწილეობის პირობების შესრულებას.

5. მაჩვენებლები საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე სოფლად ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის მონაწილეთა შესარჩევად

დაერთოთ საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება სოფლის ფიზკულტურული კოლექტივების, სოფლის სკოლებისა და ამ დებულების პირველ ნაწილში ჩამოთვლილი ორგანიზაციების შემდეგ წარმომადგენლებს:

ა) ფიზკულტურული კოლექტივების საბჭოს თავმჯდომარეებს, საბჭოს წევრებს, ფიზორგებს, რომლებმაც თავიანთი აქტიური მუშაობით უზრუნველყვეს ყველა მაჩვენებლის შესრულება, რომლებიც დაწესებულია საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე ფიზკულტურული კოლექტივებისათვის და სოფლის სკოლებისათვის.

ბ) სპორტული სექციების თავმჯდომარეებსა და საზოგადოებრივ ინსტრუქტორებს, რომლებმაც თავისი მუშაობით 1953 წლის განმავლობაში მიაღწიეს სპორტული სექციების (გუნდების, ჯგუფების) რეგულარულ მეცადინეობას, თანრიგოსანთა და მშთ ნიშნოსანთა მომზადების გეგმის გადაჭარბებით შესრულებას.

გ) სოფლის მოწინავე სპორტსმენებს, რომლებმაც შეასრულეს ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაციის პირველი თანრიგის ან სპორტის ოსტატის ნორმები სპორტის ერთ-ერთ სახეობაში და ამავე დროს სოფლის მეურნეობის მოწინავეები არიან და ფიზიკური კულტურის კოლექტივში ეწევიან აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას.

დ) სოფლად სპორტული მუშაობის აქტივისტებს, სპორტის ერთ-ერთ სახეობაში პირველი კატეგორიის მსაჯებს, რომლებიც მოწინავეები არიან წარმოებაში და სისტემატურად მსაჯობენ შეჯიბრებებს.

ე) ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულ, საქალაქო, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური კომიტეტების, საკოლმეურნეო სპორტულ საზოგადოებათა საბჭოების, სპორტული საზოგადოება „უროჟაის" საბჭოების და სხვა ორგანიზაციების მუშაკებს, რომლებმაც უზრუნველყვეს დებულების II ნაწილის 2,3,4 პარაგრაფით გათვალისწინებული მაჩვენებლების შესრულება.

ვ) სოფლის ფიზკულტურელთა საკავშირო სპორტულ შეჯიბრებებში გამარჯვებულებს.

ზ) სპორტის დამსახურებულ ოსტატებს, სპორტის ოსტატებს, მოწინავე სპორტსმენებს, მწვრთნელებს, რომლებიც სისტემატურ დახმარებას უწევენ სოფლის ფიზკულტურულ კოლექტივებს ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის მოწესრიგებაში.

III. საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის პავილიონში „ფიზკულტურა და სპორტი" ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის ჩვენების მონაწილეთა შერჩევის წესი

დაწესდეს საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის ჩვენების მონაწილეთა შერჩევის შემდეგი წესი:

ა) სოფლის ფიზკულტურულ კოლექტივებსა და სოფლის სკოლებს, მოწინავე ორგანიზატორებსა და სოფლის საუკეთესო სპორტსმენებს, რომლებმაც შეასრულეს ამ დებულებით გათვალისწინებული მაჩვენებლები, შეაქვთ განცხადებები იმის შესახებ, რომ მათ სურვილი აქვთ მიიღონ მონაწილეობა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში.

(დასასრული მე-3 გვ).

დებულება

1954 წლის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის პავილიონში «ფიზკულტურა და სპორტი» ფიზკულტურული ორგანიზაციებისა და სოფლად ფიზკულტურული მუშაობის მოწინავეთა მონაწილეობისა და 1953 წლის მაჩვენებლების შესახებ

(დასასრული)

და ფიზიკური კულტურისა და სპორტის რაიონულ კომიტეტებს წარუდგენენ თავიანთი მუშაობის დამახასიათებელ მასალებს, შემოწმებულს კოლმეურნეობათა გამგეობის, წარმოება-დაწესებულებათა, სასწავლებლებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელების მიერ.

ბ) ფიზიკური კულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტები ამოწმებენ მაჩვენებლებს, შეავსებენ საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა კანდიდატებზე დახასიათებებს და წარადგენენ დასამტკიცებლად მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომებში, რის შემდეგ გადაგზავნიან საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკურ (რომელსაც არა აქვს საოლქო დაყოფა) ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტში.

გ) საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკური (რომელსაც არა აქვს საოლქო დაყოფა) ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტები განიხილავენ და შეათანხმებენ მასალებს აღმასკომებთან არსებული გამოფენის კომიტეტებთან, წარადგენენ მათ დასამტკიცებლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტში.

დ) ფიზიკური კულტურისა და სპორტის რაიონულ კომიტეტებს, რომლებმაც შეასრულეს სოფლის რაიონებისათვის დაწესებული მაჩვენებლები საკოლმეურნეო ნებაყოფლობითი სპორტულ საზოგადოებათა რაიონულ ორგანიზაციებს შეაქვთ განცხადებები და მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოს აღმასკომებში დასამტკიცებლად წარადგენენ საბუთებს, რომლებიც ახასიათებს მათ მუშაობას, რის დამტკიცების შემდეგ აგზავნიან მასალებს ფიზკულტურისა და სპორტის ზემდგომ კომიტეტში.

ე) ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტები, სპორტულ საზოგადოებათა საბჭოები, ქალაქის ფიზკულტურული კოლექტივები, მათი ხელმძღვანელები, სპორტის ოსტატები, აქტივისტი ფიზკულტურელები, რომლებმაც შეასრულეს ამ დებულებით გათვალისწინებული მაჩვენებლები და სურვილი აქვთ მონაწილეობა მიიღონ გამოფენაში, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკურ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტებში შეაქვთ განცხადებები და საბუთები. კომიტეტები საგამოფენო კომიტეტებთან შეთანხმების შემდეგ, ყველა მასალას გადაგზავნიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტში.

ვ) ფიზიკური კულტურისა და სპორტის საოლქო, სამხარეო და ავტონომიური რესპუბლიკების კომიტეტები, რომლებმაც შეასრულეს ამ დებულებით გათვალისწინებული მაჩვენებლები, სათანადო ფიზიკური კულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის მეშვეობით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტში, წარადგენენ დაწვრილებით ანგარიშს მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

ზ) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი თავის მხრივ განიხილავს წარმოდგენილ კანდიდატთა მასალებს და ბრძანებით დაამტკიცებს საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეებს.

შენიშვნა: ფიზკულტურული კოლექტივები, სოფლის სკოლები და ორგანიზაციები, რომლებიც 1951-52 წლებში დამტკიცებულნი იყვნენ სასოფლო-სამეურნეო გამოფენის „ფიზკულტურისა და სპორტის“ პავილიონში კანდიდატებად, რჩებიან იმ შემთხვევაში, თუ მათ შეასრულეს 1953 წლის გეგმის მაჩვენებლები.

დაძაბულ ბრძოლაში

სურათზე: დინამოელ კოტრიკაძეს (მარცხნიდან პირველი) გააქვს პირველი ბურთი.

ფოტო მ. ზარგარიანისა

14 აპრილის მატჩმა თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ შორის დიდი ინტერესი გამოიწვია ფეხბურთის მოყვარულთა შორის. თამაში დაიწყო „დინამომ“. ღოღობერიძემ მარცხნივ გადააწოდა ცაგარეიშვილს, მაგრამ თბილისელთა მარცხენა გარემარბს ბიჩკოვმა წაართვა ბურთი. ტორპედოელებმა მთელი მოედანი გადალახეს და საჯარიმო მოედანთან მიახლოებისას ივანოვმა ძლიერად დაარტყა კარში. მარღანიამ აიღო ბურთი, სწრაფად დააბრუნა ცენტრში და თბილისელები საფუძვლიან იერიშზე გადავიდნენ. „დინამოს“ თავდამსხმელები „ტორპედოს“ კართან ყოველი მხრიდან გადიოდნენ, აქ ღოღობერიძეს, კალოევს, გაგნიძეს რამდენიმე კარგი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ თბილისელები ძლიერ „შეეჩვივნენ“ მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანს და კარში შეუჩერებელი დარტყმის ნაცვლად ბურთს დიდხანს, სანამ მოწინააღმდეგე არ მოუსწრებდა, ისწორებდნენ.

სწრაფი კომბინაციები განუწყვეტლივ ცვლიდა ერთმანეთს. მე-10 წუთზე მარცხენა ფლანგზე ბურთმა შეუჩერებლად იმოგზაურა ღოღობერიძე-ანთაძე-კალოევ-ანთაძის შორის და მცველებმა ძლივს მოიგერიეს იგი. წამის შემდეგ ისევ იმ ზონაში იქნა გათამაშებული კომბინაცია, ჯერ ცაგარეიშვილმა დაკარგა ბურთი, მერე—კალოევმა. ცოტა ხანში „ტორპედო“ თავს უკვე მეორე მხრიდან იცავდა — კოტრიკაძე, გაგნიძე და მახარაძე. სტუმრებს თანდათან უჭირდათ კარის დაცვა. მე-15 წუთზე მახარაძე ბურთიანად გაიჭრა წინ, მას ილინმა უხეშად დაუდო ფეხი, მაგრამ მახარაძემ მაინც მოახერხა ბურთის გადაწოდება მარცხნივ. ღოღობერიძემ ბურთს მიმართულება შეუცვალა და კოტრიკაძემ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში გაიტანა პირველი ბურთი — 1:0.

თამაში გამწვავდა. გულევსკი ყოველ, სულ მცირე ხელსაყრელ შესაძლებლობასაც კი იყენებდა და მეტად სახიფათოდ უტევდა მოწინააღმდეგის კარს. ერთ-ერთ ასეთ მომენტში მარღანიამ ორჯერ ზედიზედ აიღო მისგან დარტყმული ბურთი.

მოსკოველებმა ერთხანს გამოასწორეს თამაში, რისთვისაც „დამხმარე იარაღად“ უხეშობას მიმართეს. ილინი, ივანოვი, სტრელცოვი, სენიუკოვი მეტად სახიფათოდ თამაშობდნენ, მსაჯი იძულებული იყო ყოველ წამს გაეჩერებინა თამაში მათ დასასჯელად. ერთ-ერთი ასეთი საჯარიმო შესანიშნავად გამოიყენეს დინამოელებმა. ღოღობერიძემ, როცა ამას არავინ მოელოდა, შორს მარცხნივ გადააწოდა ბურთი და ანთაძემ იგი ძირსდაუშვებლად კარის მაღალ კუთხეში გაგზავნა. მხოლოდ პეტროვის კარგმა ნახტომმა იხსნა გუნდი გოლისაგან.

დინამოელები ტაიმის დასასრულამდე არ მოსცილებიან „ტორპედოს“ ნახევარს, შეტევაში სისტემატურად მონაწილეობდნენ ნახევარმცველებიც, მაგრამ მთავარს — შედეგს მათ ვერ მიაღწიეს.

თამაშის მეორე ნახევარი მოსკოველთა მძაფრი იერიშებით დაიწყო. უკვე პირველ წუთებში გულევსკი და ივანოვი მეტად სახიფათოდ გავიდნენ თბილისელთა კართან და მარღანიამ ორჯერ აიღო ძნელი ბურთი. დინამოელებმა სცადეს თამაშის აწყობა, მაგრამ პირველი ტაიმის ანსამბლიდან თითქმის არაფერი იყო დარჩენილი, კომბინაციები თავიდანვე წყდებოდა, ინდივიდუალურ ბრძოლას კი საერთო გეგმიანი თამაშის შექმნა არ შეეძლო.

მე-9 წუთზე კოტრიკაძემ მოედნის სიღრმიდან ბურთი გაგნიძეს გადასცა. გაგნიძე მოწყდა ადგილს და უდიდესი სისწრაფით გაიჭრა წინ, დიდი მანძილი გაიარა ბურთიანად და უძლიერესი დარტყმით ბრწყინვალე გოლი გაიტანა — 2:0. რამდენიმე წუთის შემდეგ ღოღობერიძემ კალოევის გადაცემა მიიღო, მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ მან გვერდიდან წამოსული ბიჩკოვის მოტყუებაც განიზრახა და ამასობაში ბურთი დაკარგა. ამ შემთხვევამ ახალი ძალები შემატა მოსკოველებს, ისინი კიდევ უფრო სწრაფად ამოძრავდნენ, შესამჩნევად გააქტიურდა გულევსკი, რამდენჯერმე სახიფათოდ შეუტიეს კარს სტრელცოვმა, ილინმა.

გუნდებში მოხდა ცვლილებები. „ტორპედოში“ ჩერნეცოვის ნაცვლად მოედანზე გამოვიდა ვაცკევიჩი, „დინამოში“ დაშავებული კოტრიკაძე შეცვალა ოთარაშვილმა. მაგრამ თუ ტორპედოელი მაშინვე სრული ძალით ჩაება თამაშში, დინამოელი თავის ფრთაზე მოკალათდა და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, ისიც მორიდებულად ერეოდა თამაშში.

მე-15 წუთიდან მოყოლებული თბილისის „დინამოს“ თამაში კიდევ უფრო გაუფერულდა. თავდასხმაში ორივე ფრთა უმოქმედოდ იყო, ამას დაემატა ის, რომ ელოშვილმა და სარჯველაძემ მოუკლეს ყურადღებას, გარემარბები შორიახლო მიატოვეს და ნაცვლად იმისა, რომ მოწინააღმდეგის იერიში სათავეში ჩაექროთ, მაშინ ებრძოდნენ მათ, როცა ბურთი სახიფათო ზონაში შემოდიოდა. შედეგმა არ დააყოვნა — 28-ე წუთზე ანთაძემ უკან მიაწოდა მცველებს ბურთი, აქ მას მოუსწრო სტრელცოვმა და ძლიერი დარტყმით ერთი ბურთი გაათანაბრა — 1:2.

თბილისელები ოდნავ გამოცოცხლდნენ თამაშის დასასრულისათვის, მაგრამ გონგის შემდეგ გულევსკი ოთხჯერ ზედიზედ ისეთ სახიფათო გარღვევაზე გავიდა, რომ „დინამოს“ კარი ძლივს გადარჩა გოლს. მსაჯის საფინალო სასტვენისას ანგარიში 2:1 თბილისის „დინამოს“ სასარგებლოდ, არ შეცვლილა.

რამდენიმე სიტყვა გათამაშების ლიდერზე. თქმა არ უნდა, გუნდი ძლიერად, შეწყობილად თამაშობს. მწვრთნელმა ბ. პაიჭაძემ და კოლექტივმა ბევრი რამ გააკეთეს, მაგრამ ასეთი თამაში საჭიროა მთელი 90 წუთის განმავლობაში. გარდა ამისა, ახალგაზრდებს მეტი სითამამე და ენერგიულობა მართებთ, ხოლო მცველებმა წამითაც არ უნდა დაივიწყონ, რომ მათი პირველი მოვალეობა კარის დაცვაა და არა სახიფათო ტრიუკებით თავის გართობა, როგორც ამას ხშირად ხედავს მაყურებელი. ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციონ მწვრთნელმაც და მოთამაშეებმაც.

ბ. ძორძია

სსრ კავშირის პირველობა

„ა“ კლასი

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 აპრილისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ	ქ.
„დინამო“ თბ.	3	3	0	0	8:4	6
„კრ. სოვეტოვი“	2	2	0	0	4:0	4
„დინამო“ მ.	3	1	2	0	2:1	4
„სპარტაკი“ მ.	3	2	0	1	9:5	4
„ტორპედო“ მ.	3	1	1	1	7:5	3
„ლოკომოტივი“ მ.	3	1	1	1	3:4	3
„დინამო“ კ.	3	1	1	1	4:5	3
„ზენიტი“	2	1	0	1	2:4	2
„სპარტაკი“ მნ.	2	0	1	1	0:1	1
ცდსა	2	0	1	1	1:2	1
„შრ. რეზერვები“	2	0	1	1	2:3	1
„ლოკომოტივი“ ხ.	3	0	1	2	2:6	1
„ტორპედო“ გ.	3	0	1	2	2:6	1

უშედეგო იერიშები

დაიწყო „ბ“ კლასის ოსტატ ფეხბურთელთა საკავშირო ტურნირი. გუშინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა პირველი შეხვედრა პირველი ქვეჯგუფის გუნდებს შორის თამაშობდნენ თბილისის ოფიცერთა სახლისა და ქ. ალმა-ატის გუნდები.

თბილისელები მოედანზე გამოვიდნენ შემდეგი შემადგენლობით: მათევოსიანი; ჭრელაშვილი, თორაძე, ხურციძე; ზაიცევსკი, ავეტისოვი; დალაქიანი, ნორაკიძე, ჩაიჩუკი, ვანზელი, კოვერზნევი.

სტუმართა რიგებში იყვნენ: დენისოვი; ვოლოგინი, ერკოვიჩი, კარეტნიკოვი; კოტლიაროვი, ჩენ-ირსონი; მეჯოვი, ვასინი, ზოლოდოვი, ისაევი, სუდომოევი.

როგორც მოსალოდნელი იყო, არმიელებმა თამაში შეტევით დაიწყეს. უკვე რამდენიმე წუთის შემდეგ თბილისელთა ხუთი თავდამსხმელი და ორი ნახევარმცველი საფუძვლიანად და დიდი ხნით „დასახლდა“ მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე, სტუმრებმა კარის დასაცავად ცენტრალური თავდამსხმელიც კი მიავლინეს, მაგრამ წუთები გადიოდა და განუწყვეტელ იერიშებს შედეგი არ მოჰქონდა. ალმა-ატელებმა ყრუ დაცვაში მოახერხეს კარის უვნებელყოფის ორგანიზაცია მოწინააღმდეგის დარტყმებისგან. მართლაც ბურთი გამუდმებით ტრიალებდა მათ კართან და კარისკენ კი თითქმის არც ერთხელ არ წასულა.

ალმა-ატის ფეხბურთელები სულ რამდენჯერმე მიუახლოვდნენ თბილისელთა კარს, მაგრამ ამ ცალკეული შეტევებიდან ერთი საკმაოდ მწვავე გამოდგა. ტაიმის დასასრულს თბილისელებმა ინდივიდუალური გარღვევების საშუალებით სცადეს დაცვის ხაზის გარღვევა, განსაკუთრებით აქტიურობდა დალაქიანი, მაგრამ ციფრი „0“ მათ ფარს არ მოსცილებია.

შესვენების შემდეგ სურათი არ შეცვლილა. არმიელები კვლავ განაგრძობდნენ მოწინააღმდეგის კარის შტურმს, შუამარბები და გარემარბები თითქმის ერთ ხაზზე მოქმედებდნენ, მათ უშუალო სიახლოვეს თამაშობდნენ ნახევარმცველებიც და ალმა-ატის გუნდის კართან მოთამაშეთა დიდი რაოდენობა შეჯგუფდა, შეუძლებელი გახდა კომბინაციების გათამაშება, თამაშის გაშლა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ჩაიჩუკმა უკან დაიხია, მას შედარებით მეტი გასაქანი მიეცა თამაშის რეგულირებისათვის, მაგრამ მისი გადაცემის შემდეგ ბურთი კვლავ იკარგებოდა კარის წინ. რამდენიმეჯერ კარში შორიდან დაარტყა ჭრელაშვილმა, მაგრამ ბურთები აცდა კარს. 23-ე წუთზე ერთ-ერთი შეტევისას ნორაკიძემ თავით გადააწოდა ბურთი მოწინააღმდეგის კართან. მცველი მას ხელით შეეხო. 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა ზუსტად და ძლიერად გაიტანა ჩაიჩუკმა — 1:0.

ამ გოლმა მთლიანად გამოცვალა თამაშის სურათი. ალმა-ატელები გამოცოცხლდნენ, დასტოვეს დაცვის პოზიციები და წინ გადმოვიდნენ. მათ შორის ენერგიული, კარგი თამაშით გამოირჩეოდა გუნდის კაპიტანი ჩენ-ირსონი. თბილისელთაგან განსხვავებით სტუმრები უტევდნენ გაშლილი ფრონტით, მოედნის მთელ სიგანეზე. ეს უფრო ეფექტური იყო. რამდენიმე წუთის შემდეგ მარჯვენა ფრთაზე გათამაშებული ბურთი კარში დარტყმით დამთავრდა, მეკარემ იგი მოიგერია, მაგრამ ისაევმა ძნელი მდგომარეობიდან იგი ბადეში გაგზავნა — 1:1.

დარჩენილ დროში ანგარიში არ გაზრდილა.

ზ. ჯორჯაძე

„ა“ კლასის ოსტატთა მატჩები

„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „სპარტაკი“ (მინსკი)

კუიბიშევის „კრილია სოვეტოვმა“ თავის მოედანზე გათამაშების მეორე შეხვედრა ჩაატარა მინსკის „სპარტაკთან“.

მინიმალური ანგარიშით — 1:0 გაიმარჯვეს კუიბიშეველებმა.

• • •

„დინამო“ (კიევი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი)

16 აპრილს კიევში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო“ და ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი მოსკოვის „სპარტაკი“.

მეტად საინტერესო შეხვედრა მოიგო „სპარტაკმა“ — 4:2.

• • •

„ლოკომოტივი“ (ხარკოვი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი)

ამავე დღეს ხარკოვში თამაშობდნენ ხარკოვის „ლოკომოტივი“ და ლენინგრადის „ზენიტი“. ორივე გუნდს ამ შეხვედრამდე არ ჰქონდა არც ერთი გამარჯვება. მეტად დაძაბულ ბრძოლაში ლენინგრადელებმა შესძლეს მოწინააღმდეგის დამარცხება ანგარიშით 2:1

• • •

„ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (გორკი)

ბაქოს რესპუბლიკურ სტადიონზე მოსკოვის „ლოკომოტივი“ მორიგ კალენდარულ მატჩში შეხვდა „ტორპედოს“ (გორკი).

თამაში თავიდან უფერულად წარიმართა. პირველ ნახევარში უპირატესობა ტორპედოელთა მხარეზე იყო, მაგრამ მათი თავდამსხმელები არაზუსტად ურტყამდნენ კარში. მეორე ტაიმში რკინიგზელებმა საგრძნობლად გამოასწორეს თამაში და ხელთ აიღეს ინიციატივა.

თამაშის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე მოსკოვის „ლოკომოტივის“ მარჯვენა გარემარბმა გორიანსკიმ გაიტანა ბურთი, რომელმაც გადაწყვიტა თამაშის ბედი რკინიგზელთა სასარგებლოდ.

საქმე «პატარა ამფიბიების» შექმნაზე

ახალგაზრდობაში ტონგი ცუდი სპორტსმენი როდი იყო, დიდი წარმატებების მიღწევა კი ვერ შეძლო. 1947 წელს ავადმყოფობის გამო სპორტი მიატოვა, მაგრამ დიდების სურვილი მაინც არ აძლევდა მოსვენებას.

ბიზნესის მისაღწევად ტონგიმ გადაწყვიტა თავისი შვილები გამოეყენებინა. მას ორი შვილი ჰყავდა, რომელთაგან უფროსი წლინახევრის ძლივს იქნებოდა, ხოლო უმცროსი ის იყო დაიბადა. ტონგიმ დაიწყო უფროსი ვაჟით — რასელით. რამდენიმე კვირა იგი ბეჯითად წვრთნიდა პატარას, აჩვევდა მეტრანახევარი-ორი მეტრის სიმაღლიდან ხტომას. რბენას, ცურვას. მამის სიტყვებით, წლინახევრის რასელზე უკვე შეიძლებოდა იმედების დამყარება, მაგრამ, კიბიდან ჩამოხტომისას იგი დაიმტვრა და ტვინის შერყევის გამო რამდენიმე საათში გარდაიცვალა.

უფროსი ვაჟის სიკვდილის შემდეგ ტონგიმ უმცროსი ვაჟის — ბუბას, ხოლო ერთი წლის შემდეგ მესამე შვილის, ერთი წლის კეტის წვრთნა დაიწყო. ტონგიმ მტკიცედ გადაწყვიტა გაზარდოს ნამდვილი „წყლის შვილები", რომელთათვის წყალი უფრო მშობლიური სტიქია იქნებოდა, ვიდრე მიწა. 1949 წელს 4 წლის ბუბამ და 2 წლის კეტიმ უკვე შეუქმნეს ერთგვარი დიდება მიღწევებზე გაგიჟებულ მამას. სენსაციების მოყვარულმა ამერიკულმა გაზეთებმა და ჟურნალებმა დაიწყეს ნარკვევებისა და ბავშვების სურათების ბეჭდვა, რომლებშიც მოთხრობილი იყო იმის შესახებ, თუ ბუბა და კეტი რამდენ საათს სძლებენ წყალში და რამდენი მილი შეუძლიათ გაცურონ შეუსვენებლად, და რომ „მდინარის მღვრიე წყალში თავს ისე გრძნობენ, როგორც სახლში".

სენტ-ლუისს, სადაც ტონგების ოჯახი ცხოვრობდა, ცნობისმოყვარეებმა მიაშურეს. ბავშვების წვრთნას ესწრებოდნენ სპორტის მიმომხილველნი, დახმარებას თავაზობდნენ მენეჯერები და ანტრეპრენიორები. ტონგი ყველასთან თავაზიანი იყო, მხოლოდ ანტრეპრენიორები არ უყვარდა — არ სურდა მის შვილებზე აღებული მოგება სხვებისათვის გაენაწილებინა.

წვრთნა გრძელდებოდა. ტონგიმ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ის ბუბას და კეტის სენსაციური ამბისათვის — ლა-მანშის გადაცურვისათვის ამზადებდა. ამ მიზნის მისაღწევად ტონგი არაფერს ერიდებოდა. მთელი დღის განმავლობაში მისი ბავშვები ცურავდნენ მდინარეში ან აუზში, ყვინთავდნენ, ხტებოდნენ ტრამპლინიდან ან კოშკიდან. სენსაციისათვის მამა აიძულებდა მათ მრავალრიცხოვანი უსაქმურების გასართობად ყოველგვარი სახიფათო ფოკუსები გაეკეთებინათ (კოშკიდან წყალში შეკრული ფეხებით, თვალებახვეული, ზურგით და ა. შ. ხტომა.). მაყურებლები ტაშს უკრავდნენ, გაზეთები აღტაცებული იყვნენ გამჭრიახი ტონგით, რომელიც უკვე ამერიკასა და ევროპაში საგასტროლო მოგზაურობის გეგმას ადგენდა. საბრალო ბავშვები კი საშინელ მდგომარეობაში იყვნენ. ზედმეტი დაძაბულობისა და გადაღლისაგან, მუდმივი შიშისა და ცემისაგან ისინი ნახევრადხეიბრები გახდნენ.

ტონგის საქმეების შესახებ, რომელიც სპორტის თეჯირს ამოფარებული საკუთარი ბავშვების საზიზღარ ექსპლოტაციას ეწეოდა, გაიგეს არა მარტო ამერიკაში, არამედ საზღვარგარეთაც. ინგლისში, საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში ხალხი აღშფოთებული იყო. ინგლისის პარლამენტში შეკითხვაც კი იქნა გაგზავნილი. საფრანგეთის მთავრობამ ტონგის უარი უთხრა ბავშვების მიერ ლა-მანშის გადაცურვაზე ნებართვის მიცემაზე. ამ ამბავს მხოლოდ შეერთებულ შტატებში არ შეუშფოთებია არავინ — პირიქით, ტონგის ხელსაც კი უწყობდნენ ამ საშინელ ბიზნესში

გასული წლის ხუთ მაისს, ერთ-ერთი, განსაკუთრებით დაძაბული წვრთნის შემდეგ, რომელშიც შედიოდა ათმეტრიანი კოშკიდან წყალში ხტომა, კეტის სისხლი ჩაექცა ტვინში და რამდენიმე საათის შემდეგ გოგონამ სული განუტევა. გაკვეთისას აღმოჩნდა, რომ მას თითქმის ყველა შინაგანი ორგანო დაზიანებული, ხოლო ორგანიზმი ძალიან დასუსტებული ჰქონდა. ამერიკაში გაისმა პროტესტის ცალკეული ხმები. ხელისუფლებამ არჩია არ გაეხმაურებინა საქმე, რადგან ტონგების ოჯახის „წარმატებები" მეტად რეკლამირებული იყო. მხოლოდ მაშინ, როდესაც ბუბა მძიმედ ავად გახდა, მამის წინააღმდეგ აღძრულ იქნა სისხლის სამართლის საქმე. ეს უკვე ახალი სენსაცია იყო და ამერიკის ბურჟუაზიული პრესა სიხარულით ჩაეჭიდა მას. კორესპონდენტებმა და მიმომხილველებმა, რომლებიც წინათ „წყლის შვილების" მამის „მიღწევებს" აღწერდნენ, ახლა დაიწყეს წერა ბავშვების მიმართ ტონგის არაადამიანური მოპყრობის შესახებ. 1954 წლის იანვრის ბოლოს ტონგიმ სასამართლოს უწყება მიიღო. ჟურნალი „ნიუსიუკი" პირველ თებერვალს წერდა, რომ ტონგი სასამართლოში წავიდა „სრულიად დარწმუნებული თავის სიმართლეში".

სასამართლოზე გამოაშკარავდა სიმკაცრისა და უხეშობის საშინელი სურათი, რომელთა საშუალებით ტონგი აიძულებდა თავის შვილებს მიეღწიათ მისთვის სასურველი შედეგებისათვის. ბრალდების მოწმემ, ცურვის ინსტრუქტორმა მერლინ მაკდონალდმა, რომელიც ტონგების ოჯახთან ერთად ერთ აუზში მეცადინეობდა, განაცხადა, რომ მამა აიძულებდა ბავშვებს რამდენჯერმე ზედიზედ გადმომხტარიყვნენ ათმეტრიანი კოშკიდან. გოგონა (კეტი) ხშირად ტიროდა შიშისაგან, მაგრამ მამა შეუბრალებელი იყო. ცემით დაშინებული გოგონა ხტებოდა კოშკიდან და თან „შიშისა და ტკივილისაგან ისე ყვიროდა, რომ მთელ აუზში ისმოდა". მეორე მოწმემ, აგრეთვე ცურვის ინსტრუქტორმა, სასამართლოს უამბო, რომ ტონგი მისი ბავშვების ცურვისა და წყალში ხტომის ტექნიკას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. იგი ცდილობდა „მიეჩვია პატარები საერთოდ გამძლეობისათვის, და რომ მათ არ შინებოდათ წყლის". ბუბა და კეტი კოშკიდან როგორც შეეძლოთ ისე ხტებოდნენ და მუდამ დალურჯებულები დადიოდნენ. „ერთხელ, — თქვა ამ მოწმემ, — კეტი იმდენად ცუდად გადახტა წყალში, რომ კინაღამ დაიმტვრა. ის ძლივს ამოვიდა აუზიდან, მაგრამ მამამ ისევ წყალში ჩასვლა უბრძანა".

სასამართლოზე ბრალდების მთავარ მოწმედ გამოვიდა წყალში ხტომის ყოფილი ოლიმპიური ჩემპიონი პიტ დეჯარდენი, რომელმაც სასამართლოს უამბო ტონგის მეთოდების შესახებ.

ბრალდებული ცდილობდა დაერწმუნებინა სასამართლო, რომ მის მოქმედებაში არა იყო რა გასაკიცხი, რომ მას სურდა მხოლოდ თავისი შვილები გამოჩენილ სპორტსმენებად აღეზარდა და სრულიადაც არ ფიქრობდა პირად დიდებაზე ან დიდ მოგებაზე. იგი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ათმეტრიანი კოშკიდან ხტომა არაა სახიფათო ბავშვებისათვის და რომ კეტის სიკვდილი „შემთხვევითია." მაგრამ ბრალდებამ ყველა მისი დანაშაული ამხილა. მიუხედავად ამისა, ამერიკულმა სასამართლომ ვერ გაბედა დაესაჯა მკვლელი მამა, რომელიც თავის საზარელ დანაშაულს „სპორტის სიყვარულით" ხსნიდა. ტონგის საქმე შეწყვეტილი იქნა „არასაკმაო" ფაქტებისა და „დანაშაულის შემადგენლობის უქონლობის გამო".

ტ. ბელიაევი

ლატვიის საჭადრაკო კონკურსი

ქ. რიგის სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" საჭადრაკო კლუბი აცხადებს საჭადრაკო ორ და სამსვლიანი ამოცანებისა და ეტიუდების შედგენის კონკურსს.

ამოცანები და ეტიუდები უნდა გაიგზავნოს დიაგრამაზე სამ ცალად, 1954 წლის 30 ივლისამდე მისამართით: ქ. რიგა, ბლაუმანის ქ. № 19, „სპარტაკის" საქალაქო საბჭოს. წარწერით — „საჭადრაკო კონკურსისათვის".

კონკურსის ყოველ განყოფილებაში დადგენილია 3 პრიზი, 5 საპატიო და 5 საქები შეფასება.

კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება არაუგვიანეს მიმდინარე წლის 30 სექტემბრამდე.

კონკურსს სჯიან: ა. დობროვსკისი (მთავარი მსაჯი), ა. კობლენცი, ი. კლიავინში, ტ. ბერგსი და ე. ვალცინში.

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ახალგაზრდობას უყვარს შრომა, სწავლა და გართობა. ისინი შრომისაგან თავისუფალ დროს ეცნობიან მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებს, იღრმავებენ ცოდნას, ეუფლებიან სპორტს. სურათზე: მუშა-სპორტსმენები შესვენების დროს ფაბრიკის ბიბლიოთეკაში ათვალიერებენ სპორტულ ჟურნალ-გაზეთებს.

მოჭადრაკე ქალთა ნახევარფინალი

მეცხრე ტურში დაძაბული და საინტერესო ბრძოლის შემდეგ მხოლოდ სამი პარტია დამთავრდა. სემიონოვამ სიცილიურ დაცვაში ხელთ იგდო ინიციატივა და ძლიერი იერიშით 35-ე სვლაზე აიძულა ელანსკაია დანებებულიყო. კოგან-კაკაბაძისა და გურფინკელ-ფილანოვსკაიას შეხვედრები ყაიმით დამთავრდა.

გადადებული პარტიების გათამაშებისას ხაჭაპურიძე მოულოდნელად დამარცხდა ალფეევსკაიასთან. კაკაბაძემ მოუგო ლომოვატსკაიას, ხოლო გრიგორიევამ — კარცევას და გურფინკელმა — გოლდბერგს.

მეათე ტურში ყველაზე ადრე ყაიმით დასრულდა კაკაბაძე-ხაჭაპურიძის შეხვედრა. კარცევამ საუცხოოდ ჩაატარა იერიში ელანსკაიასთან და გაიმარჯვა. გურფინკელმა მოუგო ნაგელს, ხოლო კოგანმა—გრიგორიევას. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ათი ტურის შემდეგ წინ არიან ი. გურფინკელი (8 ქულა), ლ. კოგანი, ტ. ფილანოვსკაია (6½ ქულა თვითეულს) და ლ. ხაჭაპურიძე (6 ქულა და ერთი გადადებული პარტია).

სროლასა და მძლეოსნობაში

თიანეთის რაიონის ჯანმრთელობის განყოფილებამ და დოსააფის რაიონულმა კომიტეტმა მოაწყო შეჯიბრება რაიონის პირველობაზე სროლასა და მძლეოსნობაში. ვაჟთა შორის 100 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა სიონის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლემ ვ. ქიტესაშვილმა, ყუმბარის ტყორცნაში პირველი იყო საყდრიონის რვაწლიანი სკოლის VII კლასის მოსწავლე მ. ზარიძე. მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში 71 ქულით პირველ ადგილზე გამოვიდა XI კლასის მოსწავლე ს. ჯანგირაშვილი.

ო. ჯამაგიძე

760 მოსწავლის მონაწილეობით

ლენინის დარბაზში დამთავრდა თბილისის სკოლების მოსწავლეთა პირველობა ტანვარჯიშში, რომელიც მოზარდთა ახალი საკლასიფიკაციო პროგრამის მიხედვით ჩატარდა.

I ჯგუფში ვაჟთა სკოლებს შორის გუნდური პირველი ადგილი დაიკავა მე-20 სკოლამ (1478.737 ქულა), მეორე — 42-ე სკოლამ (1423,19 ქულა), მესამე — მე-6 სკოლამ (1407,11 ქულა).

ქალთა სკოლებს შორის გაიმარჯვა 38-ე სკოლამ (1386,555 ქულა), მეორე ადგილზეა მე-19 სკოლა (1204,91 ქულა), მესამეზე — 46-ე სკოლა (994,815 ქულა). მასობრივობაში პირველ ადგილებზე გამოვიდნენ: ვაჟთა სკოლებს შორის მე-6 სკოლა (61 ქულა), ქალთა სკოლებს შორის — 38-ე სკოლა (41 ქულა).

პირველ თანრიგში (1936-37 წლებში დაბადებულ ვაჟებს შორის) გამარჯვება მოიპოვა უ. ვარდიაშვილმა (ვაჟთა 24-ე სკოლა), ამ ასაკის მეორე თანრიგოსნებს შორის გაიმარჯვა ს. ალნიაშვილმა (ვაჟთა მე-2 სკოლა), II თანრიგში — 1938-39 წლებში დაბადებულთა შორის პირველი იყო ვ. ბოლუშენკო (ვაჟთა მე-4 სკოლა), ხოლო ახალბედა ტანმოვარჯიშეთა შორის — 1941 წელს დაბადებული ა. კანდელაკი (ვაჟთა მე-2 სკოლა), რომელმაც 4 იარაღზე მოაგროვა 37,35 ქულა.

I თანრიგში უფროსი ასაკის გოგონებს შორის, ყველას აჯობა ტ. კობისარენკომ (ქალთა 39-ე სკოლა), რომელმაც ქულათა მეტი (89,90) რაოდენობა დააგროვა, II თანრიგში საშუალო ასაკის გოგონებს შორის გაიმარჯვა ე. სიდამონიძემ (ქალთა 38-ე სკოლა), III თანრიგში — ვ. შიროკაიამ (48-ე სკოლა).

ვ. კიკნაძე

საჭიდაო სარბიელები ძველ თბილისში

◆

მოგონება

◆

ძველ თბილისში ჭიდაობა კვირაობით იმართებოდა. ხალხი შეიკრიბებოდა, ზურნაც გამოჩნდებოდა, ყოჩაღი ბიჭები წესრიგის დაცვას ითავებდნენ და შელამებამდე საინტერესო ასპარეზობა ტარდებოდა. დრო გავიდა და გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც ჭიდაობა შემოსავლის წყაროდ გაიხადეს, მოაწყეს სარბიელები, ცირკები...

ყველაზე ძველი და ქალაქელებისათვის ცნობილი საჭიდაო ადგილი იყო ფიქრის გორა (აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პირდაპირ). აქ გამოდიოდნენ ცნობილი ფალავნები: დავით ხიზამბარელი, ქობისხეველი, იაკობ ეგნატაშვილი, ათოლა გლდანელი, სოლომონ ბუდაშვილი, კულა გლდანელი, ნესტორ ესებუა, გაიოზ კახელი, მიტრო ლილოელი და სხვები. აღნიშნული პირები გარდა იმისა, რომ ჭიდაობდნენ, შეჯიბრების ორგანიზატორები და მსაჯებიც იყვნენ. მათ ჰყავდათ დამხმარეები: განის გამშლელები, მეზურნეებისათვის ფულის შემგროვებლები.

ბევრ მოქალაქეს იზიდავდა მეტეხის ციხის ახლოს, მტკვრის ნაპირას მოწყობილი სარბიელი. აღსანიშნავია, რომ კულა გლდანელის პირველი დებიუტი აქ შემდგარა. სარბიელები იყო მოწყობილი აგრეთვე რესტორნებთან. განსაკუთრებით ბევრი ხალხი იკრიბებოდა პლეხანოვის პროსპექტზე მდებარე რესტორან „ვაზასთან" არსებულ სარბიელზე. ერთხელ აქ ერთმანეთს შეხვდნენ კულა გლდანელი და ქობისხეველი.

დიდუბეში რამდენიმე ადგილას იმართებოდა შეჯიბრება. განსაკუთრებით ცნობილი იყო დიდუბის ქუჩაზე № 22-ში მდებარე სარბიელი. მისი მეპატრონეები იოსებ ნიჟარაძე, ნიკო ციციშვილი, დავით სელეპანოვი, მეტივე რეზო და მაღალ გიგოაანთ გიგო ათას ხრიკებს მიმართავდნენ ხალხის მისაზიდად. აქ მსაჯად იყო თბილისში დაბადებული და გაზრდილი ვანო ჩიბალოვი, რომელსაც მეტ სახელად „შენ დაუკარს" ეძახდნენ.

ღია სარბიელების გარდა თბილისში არსებობდა ცირკები. მათ შორის ცნობილი იყო ნიკიტინების ცირკი, რომელიც მოთავსებული იყო იმ ადგილას, სადაც ახლა გაზეთ „ზარია ვოსტოკას" შენობაა. ერთ საღამოს ცირკის მეპატრონემ ცნობილ ფალავნებს კულა გლდანელსა და თედო ლილოელს სახალხოდ თხოვა: ერთმანეთს ეჭიდავეთო. მათ თანხმობა განაცხადეს. მეორე დღეს ცირკს უამრავი ხალხი მოაწყდა. მაგრამ ფალავნების შეხვედრა უფერული გამოდგა. ყველასათვის შესამჩნევი იყო, რომ ეს ხრიკი ნიკიტინმა შემოსავლის გულისათვის გააკეთა.

ამ დროს თბილისში იყო აგრეთვე ესიკოვსკის ცირკი, აქ ჭიდაობისათვის წყვილების შერჩევასა და სხვა საკითხებს წყვეტდა კულა გლდანელი და თედო ლილოელი. იქ, სადაც ახლა ტრამვაელთა სახლებია აშენებული, იყო ეფიმოვის ცირკი, მასში კლასიკურის გარდა ქართული ჭიდაობაც იმართებოდა.

საინტერესო ასპარეზობა იმართებოდა ხუდადოვის ტყის მახლობლად. აქ წრეს ხელმძღვანელობდნენ თედო ლილოელი, კოსტა მაისურაძე და სხვები. აღსანიშნავია, რომ ამ სარბიელზე მოჭიდავეთა შორის გამოირჩეოდა ლადო კავსაძე, შემდეგ ცნობილი მომღერალი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი. პოლიციამ აქ გამართულ თავშეყრას ალმაცერად დაუწყო ყურება და რამდენჯერმე გარეკა კიდევაც ხალხი. აქედან ჭიდაობა გადაიტანეს მახათისა და შირაფლავის გორაკებს შუა. ჭიდაობა იმართებოდა აგრეთვე ავლაბარში. ორთაჭალის სარბიელზე გამოდიოდნენ ლილოელი, ნორიოელი, მარტყოფელი და საგარეჯოელი ფალავნები. აქ პოლიცია იშვიათად გამოჩნდებოდა ხოლმე, რადგანაც ჭიდაობას ხელმძღვანელობდნენ იმ დროის ცნობილი მოკრივეები მაშო და გიგოლა ხარფუხელები, ბებუთაანთ გიგა და სხვები.

გ. თბილელი

სპორტული ქრონიკა

ბორჯომის მედდების სკოლაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა, ჩამოყალიბდა კალათბურთის, მძლეოსნობის, ფრენბურთისა და სხვა სექციები. ქალაქის ცენტრალურ სპორტმოედანზე უკვე ჩატარდა მძლეოსანთა პირველი შეჯიბრება. 100 მეტრზე რბენასა და სიგრძეზე ხტომაში ყველას აჯობა ე. ბექუაშვილმა, სიმაღლეზე ხტომაში გაიმარჯვა ლ. დავითაძემ.

ფ. მაისურაძე

• • •

ცაგერში დოსააფის რაიონულმა კომიტეტმა ჩაატარა მსროლელთა პირველობა. მონაწილეობდა 130 სპორტსმენი.

პირველი ადგილი მოიპოვა კომუნალური განყოფილების დოსააფის მსროლელთა გუნდმა, რომელმაც 500 შესაძლებლიდან დააგროვა 438 ქულა.

პირად პირველობაზე პირველი ადგილი მოიპოვა კ. ალავიძემ.

ქ. სილაგაძე

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ/მგ მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 00975